[library stamp]

წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 5 აგვისტო 1915 წ. № 62

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 67.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის" იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო" გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

**იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი**

## „კაფე პარიზი"

**გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,**

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით.

სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

პირველხარისხოვანი

## სასადილო „კაფე ბორდო"

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ჩაი, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები". თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

**ქ. ბორჯში**

**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

**გადაწერას საწერ მანქანის**

**საშვალებით და საწერ მანქანაზე**

**მუშაობის სწავლებას**

**ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს**

**ი. თ. ბათუას კანტორა**

✦ ვერის დაღმართი № 1 ✦

ტელეფონი 17—05

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და სალ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

# ომის დღიური

## დეპეშები

**თბილისი,** 3 აგვისტო. პირველ აგვისტოს ზღვის ნაპირებსა და ოლთის მიმართულებით რუსთა მოწინავე რაზმებმა მარჯვედ დაზვერეს ოსმალთა პოზიციების წინა ნაწილი. სოფელ ბეზთან ჰოროხზე ხიდი ჩანგრეულ იქნა და მით ხელი შეეშალათ ოსმალებს მეორე ნაპირზე გადასულიყვნენ. ეფრატის მიმართულებით რუსებმა კოპი დაიჭირეს, ხოლო 5 საათის ბრძოლის შემდეგ ოსმალნი უკუაქციეს ტორტონისკენ. რამდენიმე როტა აკუწულ იქნა მათი დევნის დროს, ბევრიც ტყვედ წამოიყვანეს, დავლად მრავალი თოფი და სხვა იარაღი დარჩათ. როგორც ქვეითი ჯარის უფროსი მოწმობს, მთელი გზა დუტახიდან მელიაზგარამდე დაფენილია ოსმალთა გვამებით. დანარჩენ მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი,** 3 აგვ. ოფიციალი. **ბაიუსკის რაიონში 2 აგვ. ღამით რუსთა ჯარებმა კვლავ შეავიწროეს გერ**მანელთა ჯარები და მდ. აასკენ დააწევინეს. გერმანელთა კონტრ-იერიშები მოგერებულ იქნა. იაკობშტადტისა და დვინის მიმართულებით არსებითი ცვლილება არ მომხდარა. კოვნოსთან გერმანელები განუწყვეტლივ უშენენ ზარბაზნებს. ამასთანავე სასტიკი იერიშები მიაქვთ დასავლეთ ფრონტის სიმაგრეებზე. ნარევსა და ბუგს შუა 1 და 2 აგვ. სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა. გერმანელთა მთელი რიგი იერიშებისა მოგერებულ იქნა. რუსებმა დიდი ზარალი მიაყენეს მათ. ბუგის მარცხენა ნაპირზე დიდი შეჯახება არ მომხდარა. მთელს ფრონტის დანარჩენ ადგილებზე თოფისა და საარტილერიო სროლაა. რაოდენადმე მაინც მნიშვნელოვანი შეჯახება არსად მომხდარა.

## კავკასიის ჯარის შტაბისაგან

3 აგვისტო. კავკასიის არმიის მარცხენა ფრთა ნელ-ნელ ოსმალთა ჯარების მიერ ნაოტი იქნა ვანის ვილაეტისა და ეფრატის ველიდან, ივლისის დასაწყისში მათ მიაღწიეს მელიაზგერ ახლათტან, სადაც შემოეყარნენ ოსმალთა ძლიერ ჯარებს. ამ რაონში კოპ-კორმუჯთან ოსმალთ ძლიერი ძალები მიეშველებინათ. რუსთა ჯარების მარცხენა ფრთას ებრძანა გაენადგურებინათ წინ მავალნი, ვიდრე მათ დახმარებას აღმოუჩენდნენ. მთელი რიგი სასტიკი ბრძოლებისა რუსთა სასარგებლოდ გათავდა. რუსებმა მშვენივრად გამაგრებული პოზიციები აიღეს, ხოლო ოსმალებმა სამხრეთ-დასავლეთისკენ გააშურეს, საიდანაც დასამარებას ელოდნენ. ამ ძალებთან შეერთებით შესდგა ძლიერი ლაშქარი, ათ დივიზიამდე. ადგილ-მდებარეობის ხელსაყრელ პირობების გამო ოსმალებმა არა თუ მოახერხეს მწვერვალებზე ფეხის მოკიდება, არამედ იერიშითაც კი წამოვიდნენ. რაკი-ღა რუსის ჯარები შედარებით მცირე რიცხოვანი იყო, მათ ებრძანათ ნელ-ნელ უკან დაეწიათ და გარდამწყვეტ ბრძოლაში არ ჩარეულიყვნენ. ამასთანავე მოხდა სწრაფი გადაჯგუფგადმოჯგუფება. 10 ივლისს ოსმალები იერიშით წამოვიდნენ. 22 ივლისს რუსთა ჯარების მარცხენა ფრთამ კარაკლისის ჩრდილოეთით მიაღწია, სადაც ახტინის უღელტეხილი დაიჭირა. 23 ივლისს დამთავრდა რუსის ჯარის გადაჯგუფება და ოსმალთ მოულოდნელად შეუტიეს ხეობის მხრით, ისე ...იადინის ლელეთ, უმთავრესად კი ...ის მხრით ზურგიდან მოექცნენ მათ. პირველ დღესვე ფრიად ნაყოფიერი შედეგი მოიტანა ამ შეტევამ. ოსმალნი სწრაფად—უკუიქცნენ. 24 ივლისს რუსებმა დაიჭირეს კლიჩ-მიადუქსის გრეხილი. ოსმალნი სცდილობდნენ ეს ფრიად მნიშვნელოვანი პოზიცია უკან დაებრუნებინათ, რათა ეფრატისაკენ გზა გაეხსნათ და იქით შესძლებოდათ დაბრუნება. ამიტომ მათ რამდენჯერმე გააფთრებული იერიშები მოიტანეს ჩრდილოეთით, მაგრამ რუსებმა მოიგერეს და დიდი ზარალიც მიაყენეს. ამასთანავე შარიანში მომწყვდეული ოსმალთა ჯარის ნაწილი ფრიად საშიშ მდგომარეობაში ჩავარდა. მათ სახსნელათ გამოეშურნენ ოსმალები, მაგრამ 26—27 ივლ. რუსთა რამდენიმე ბათალიონმა უკუაქციეს ყველანი. ტყვედ წამოიყვანეს პოლკის უფროსი, რამდენიმე ოფიცერი, ამასთანავე დავლად დარჩათ რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი. ბევრჯელ შეეცადნენ ოსმალნი რუსების შეკვეცას, მაგრამ ვერას გახდნენ. 30 ივლისს რუსებმა დაიჭირეს მელიაზგერთი. დავლის რაოდენობა ჯერ გამოურკვეველია, მაგრამ ცნობაა, რომ რუსებს ხელთ ჩაუგდიათ ზარბაზნები, ტყვიისმფრქვეველები, აუარებელი იარაღები. საბარგულები და საკლავი საქონელი. ტყვედ წამოიყვანეს რამდენიმე პოლკის კომანდირი, რამდენიმე ათეული ოფიცერი და რამდენიმე ათასი ჯარისკაცი. გზა და გზა ოსმალნი სტოვებენ სურსათს, იარაღს. აქედანაც ნათლად სჩანს, თუ რა ზარალი მოუვიდათ ოსმალების მარჯვენა ფრთას.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**პარიზი.**

რეჩს 28 ივლისის თარიღით საკუთარი კორესპონდენტი ტელეფონით ატყობინებს. გაზეთ „ტიმესში" პოლკოვნიკი რეპინკტონი არკვევს რა გერმანელთა ძალთა რაოდენობას, ამბობს, რომ დასავლეთ ფრონტზე მტერსა ჰყავს არა ნაკლებ მილიონ 700 ათასი კაცისა, ხოლო აღმოსავლეთის ფრონტზე მილიონ 250 ათასი კაცისა ავსტრო-გერმანელთა ჯარის მომატებითაო.

**გამოქცეულნი.**

სრულიად რუსეთის ერობათა და ქალაქთა კავშირის წარმომადგენელთა შეერთებული კრება მოხდა 18 ივლისს, სადაც ირჩეოდა გადმოხვეწილთა მოვლა-პატრონობის საკითხი. სხდომაზე გამოირკვა, რომ გადმოხვეწილთა გადასახლებას რუსეთის შიდა გუბერნიებში თან სდევს საფრთხე ხოლერის და საზოგადოდ ინფენქციონურ ავადმყოფობის გავრცელებისა. ამ უბედურების ასაცილებლად მიღებულია სხვა და სხვა ზომები, რისთვისაც იხარჯება: საიზოლიაციო პუნქტების და ბარაკების მოსაწყობად გადამდებ ავადმყოფთათვის—7 მილიონი, გამოსაკვებად 3 მილიონი თვეში და სხვა.

ზემო დასახელებულ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა ერთდროულად 9 მილიონი მანეთი და 5 მილიონი 800 ათასი ყოველთვე.

**ვილჰელმის სიმდიდრე.**

ფრანგულ გაზეთ „ტანის" გამოანგარიშებით ვილჰელმი ყველაზე უფრო მდიდარია გერმანიაში. მისი წლიური შემოსავალი უდრის 9 მილიონ მანეთს—შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს ბერტა კრუპპს ფონ-ბოლენს, რომლის ქონება უდრის 830 მილიონ მანეთს და წლიური შემოსავალი 6 მილიონ ოთხას-ათასს.

მესამე ადგილი უჭირავს თავად გენკელ ფონ-დონნერსმარკს 100 მილიონი ქონება და 5 მილიონ 200 ათასი წლიური შემოსავლთი აქვს. კაიზერის ქონება შესდგება უძრავ ქონებისაგან, რომელიც 64 მილიონ მარკად ფასობს. გარდა ამისა ის სარგებლობს ფრიდრიხ-ვილჰელ III მიერ დაარსებულ ფონდის პროცენტით, რომელსაც ვილჰელმ I-მა 25 მილიონი ნახევარი მანეთი მიუმატა (საფრანგეთის კონტრიბუცია 1870 წ.). ვილჰელმ I-ს დატოვებულ ქონებიდან ვილჰელმ II-ს მემკვიდრეობით ერგო 1¼ მილიონი მანეთი. გარდა ამისა ტახტზე ასვლის შემდეგ მას შეგროვილი აქვს ქონება სამოქალაქო ფურცლით. კაიზერი სამ დიდ მრეწველობაში ღებულობს მონაწილეობას: —გემთა მიმოსვლის საზოგადოება "ჰამბურგ-ამერიკაში", საიმპერიო და კრუპის ფირმაში. ამ ზემო ჩამოთვლილ ფირმებში კაიზერი მიულერის და გრიმმის ფსევდონიმით ღებულობს მონაწილეობას. „რეჩ".

**ჰინდენბურგის ძეგლი.**

ბერლინერ „ტაგებლატ"-ის სიტყვით, ბერლინში ახლო მომავალში აპირებენ უზარმაზარ ძეგლის დადგმას ფელდმარშალს ჰნდენბურგისათვის. ეს ძეგლი გამოაქანდაკა გეორგ მარშალმა და 12 მეტრი 6 საჟენი) სიმაღლე აქვს. ამის გარდა, ვილჰელმის ბრძანებით, ახლად ზღვაში ჩაშვებულ დიდს ჯავშნიან კრეისერს ეწოდა სახელად „ჰინდენბურგი". ეს პატივისცემა ჰინდენბურგისა დაკავშირებულია მის რუსეთის ფრონტზე პირველ გამარჯვებებთან. „ბირ. ვედ.".

**გერმანეთის ახალი წყალქვეშა.**

გერმანეთში ამზადებენ 22 ახალს წყალქვეშას, რომლებსაც შეეძლებათ რავდენიმე კვირობით ზღვაში დაუხმარებლად ყოფნა. მათი დანიშნულებაა ატლანტის ოკეანეში ყოფნა და ამერიკის სანაპიროებთან მოქმედება. „ბირ. ვ.".

—

პარიზიდან მიღებულ ცნობით, შესაძლებელია ბალკანეთის ახალი კავშირის შედგენა. ხოლო ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ ბრატიანუმ უარი სთქვა ხელშეკრულობაზედ ხელის მოწერისა, თუმცა რუსეთის ელჩი მას ბანატის დათმობას დაჰპირდა. გერმანოფილები დღესასწაულობენ და მარგილომანის კაბინეტს წინასწარმეტყველობენ.

(რუს. სლ.)

**რუმინთა გერმანოფილების მუქარა.**

ბრატიანუთი უკმაყოფილონი არიან, როგორც შეთანხმებულთა მომხრენი, აგრეთვე გერმანოფილები. პირველნი უსაყვედურებენ მას ორპირულ პოლიტიკას. ხოლო გერმანოფილები კი დარწმუნდნენ, რომ ბრატიანუ მათ არ ემორჩილება. ეს აშკარად დამტკიცდა როდესაც რავდენიმე ასეული სამხედრო სურსათით დატვირთული ვაგონი რუმინეთის საზღვარზედ იდგა და გერმანოფილებმა ამ ვაგონების სწრაფად გაშვება მოითხოვეს. მარ ილოვანი ემუქრება ბრატიანუს ნამეტან „ფრანკოფილების" ან უფრო სწორედ ...სთქვათ, „არა საკმაო მორჩილ გერმანოფილობისთვის" და მის კაბინეტის დამხობას უქადის, ხოლო მის ნაცვლად გერმანოფილ კარპის გაყვანას. ყოფილი პირველი მინისტრი კარპი ცნობილია თავისი რუსთმძულვირებით. რუსთმძულვარე გაზეთმა „მოლდავამ განაცხადა: მარიამობის ან ენკენისთვეში რუმინთა ჯარი ბესარაბიაში შეიჭრებაო. ეს ცნობა ყველა გაზეთებმა გადაბეჭდა და ხალხში სენსაცია გამოიწვია. (ბირ. ვ.)

—

პოლონელმა კოლომ ვენაში პროკლამაცია გამოუშვა, რომლითაც პოლონელ ხალხს ეუწყება, რომ მათი ეროვნული მთლიანობა უზრუნველყოფილია დამოუკიდებელ პოლონეთის აღდგენით, რომელშიაც გალიცია მოჰყვება. ჰფიქრობენ, რომ ავსტრია უარს არ იტყვის.

(რუს. სლ.).

—

„ფიგარო"-ში დაბეჭდილია წერილი რუსეთ-შვედეთის დამოკიდებულობის შესახებ: თუ ფინლანდია თავის კონსტიტუციის გარანტიებს მიიღებს, უნდობლობა რუსეთისადმი მოისპობა, კარგს შთაბეჭდილებას მოახდენს აგრეთვე გაყიდვა ან გაცვლა ალანდის კუნძულებისა, რადგან ეს კუნძულები შვედეთისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ხოლო რუსეთისათვის კი უმნიშვნელოა. თუ ალანდის კუნძულები შვედეთს გადაეცემა, კუნძულებს გაანეიტრალებენ. (კ. სლ.).

—

კიევის საოქო კომიტეტი ატყობინებს ქალაქების კავშირს: გალიციიდან და ბუკოვინიდან მოსულნი განიყოფებიან: გამოქცეულებად, გადმოსახლებულებათ და ძევლებად. გამოქცეულნი საშინელს ვიწროობაში სცხოვრობენ. მათი ქარხნებში დაქირავება მონების მდგომარეობას წააგავს: ირჩევენ მხოლოდ ჯანმრთელებს, ჰყიდიან ქალებს... 7—8 წლის ბავშვები—ქალები მეძაობენ... ადმინისტრატიულად გადმოსახლებულებს საპოლიციოებში ინახავენ—ესენი არიან მღვდლები, მასწავლებელნი და ექიმები. სცხოვრობენ სისხლის სამართალში მიცემულებთან ერთად; საზრდოთ დღეში 11 კაპ. ეძლევათ. ძველებად არიან პარლამენტის წევრები, ქალაქის თავები და მოსამართლენი. მოთავსებულნი არიან საპატიმროებში და საპოლიციოებში. კიევში მთელი დღეებით სდგანან გამოქცეულთა მატარებლები.

(კავკ. სლ.).

—

„ვეჩ. ვრ." სწერს, რომ მიასოედოვი გაეცნო ფრეიდბერგებს ვერჟბოლოვოში მსახურების დროს, სადაც ფრეიდბერგს საექსპედიტორო კანტორა ჰქონდა. შემდეგში ისინი დირექტორებად იყვნენ ერთს საექვო ნაოსნობის საზოგადოებაში, რომელმაც 1905 წელს სავაჭრო სამინისტროს ყურადღება მიიქცია. საპოლიციო დეპარტამენტში თვალყურს ადევნებდნენ მიასოედოვს და ფრეიდბერგს. ირთ დროს მიასოედოვი ისეთს ადგილის მიღებასა სცდილობდა, რომელიც მას საიდუმლო სააგენტოსთან დააახლოვებდა, მაგრამ მაშინდელმა დირექტორმა ბელიცკიმ, რომელსაც ეჭვი ეპარებოდა მიასოედოვის პიროვნებაში, უარი უთხრა. მიასოედოვი ძალიან ხელგაშლით სცოვრობდა. მას რამდენიმე სხვა და სხვა ადგილებში ჰქონდა სახლები დაქირავებული გერმანეთის აგენტებთან საიდუმლოდ მოსალაპარაკებლად. როდესაც ტრეიპოვის განკარგულებით პეტროგრა-

დში გროტგური დაინიშნა, მან ყოველნაირი მფარველობის გაწევა დაუწყო მიასოედოვს. გროტგური შუამავლობას ასრულებდა მიასოედოვისა და ფრეინატის შორის. ფრეინატი არა ერთხელ გამგზავრებულა საზღვარ გარეთ საიდუმლო აგენტურის საქმის შესასწავლად და ოცნებობდა საზღვარ გარეთის საიდუმლო აგენტურის უფროსებაზე.
(კავკ. სლ.).

### ინგლისი და საბერძნეთი.

„ვეჩ. ვრ.“-ს სიტყვით ინგლისი ენერგიულად მოითხოვს საბერძნეთისაგან ოთხთა-შეთანხმებულთ სურვილების ასრულებას. ინგლისი მზათაა უკიდურესი ზომები მიიღოს. რუს დიპლომატებთა წრეებში საბერძნეთთან შეთანხმების იმედი ჯერ არ დაუკარგავთ. (კავკ. სლ.)

### სერბეთზედ გალაშქრება.

რუს. სლოვოს“, „რუს. ვედ.“ და „რან. უტრო“-ს ცნობით რადოსლავოვს შეუტყვია, რომ სერბეთზე გალაშქრება აგვისტოს შუა რიცხვებში დაიწყება.
(კავკ. სლ.).

### გერმანეთის ჯარისადმი ბრძანება.

გერმანეთის ფლანდრიის ჯარისადმი ბრძანებაში ნათქვამია: აღმოსავლეთით ჩვენი საქმე პრაქტიკულად უკვე დამთავრებულია. ვიწყებთ მოქმედებას დასავლეთით. ზავი უეჭველად ღვინობისთვეში ჩამოვარდება. (კავკ. სლ.)

### „მამულიშვილთა კავშირი“.

პეტროგრადიდან ჩამოსულ სკვორცოვის თავმჯდომარეობით მოსკოვში ყრილობა შესდგა „მთავარანგელოზ მიხეილის კავშირისა“. გადასწყდა ამ კავშირის დახურვა და მის ნაცვლად „მამულიშვილთა კავშირის“ დაარსება. კავშირის წევრებმა წინანდელს პოლიტიკაზედ უარი უნდა სთქვან. სკვორცოვმა განაცხადა, რომ ებრაელებს კაცთმოძულენი სდევნიანო. (კავკ. სლ.)

## წერილები პარიზიდან

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

წერილი დ.

**14 მკათათვე პარიზში.**

წლევანდელი 14 (1) მკათათვე მე-126 წლის თავია საფრანგეთის დიდის რევოლიუციისა, როდესაც პარიზელებმა ბასტილის საპყრობილე აიღეს, მისი კედლები მიწასთან გაასწორეს და მასთან ერთად ძირს დაამხეს ძველი რეჟიმი, ძველი მტარვალობა დ უსამართლობა. დ ამ თვისის მოქმედებით ხალხმა უთხრა მეფეს: „ამიერიდან რასაც ხალხი გადასწყვეტს,—კანონიც ის იქნება“. მებატონეთ იმავე ხალხმა უთხრა: თქვენს სასარგებლოდ არავითარ ხარჯს არ გადავიხდით. თუ გადახდაა რისამე, თქვენც ჩვენთან ერთად უნდა იხადოთ, თანასწორად. ქვეყნის მრავალ-გამგეობის ჭაპანი ყველამ უნდა ვსწიოთ, შეძლებისა და ცოდნის კვალად“. აღარც ეკლესია და სამღვდელოება დაივიწყა იმავე ხალხმა: „არავინ გიშლით სარწმუნოება ასწავლოთ ხალხს, მაგრამ ძალა კი არავის უნდა დაატანოთ სარწმუნოების საქმეში. ყველა სარწმუნოებას პატივეც, შენთვის ყველა ერთი უნდა იყოს: პროტესტანტი, ებრაელი თვით თავისუფალი მოაზრე და ურწმუნოც კი.. ბოლოს დასძინა: „რასაც ჩვენთვის მოვითხოვთ, იმასვე მოვითხოვთ ყველა ერისათვის, ყველა ადამიანისათვის, რა ფერისაც უნდა იყოს მისის კანი. თანასწორობა ყველასი! ყველას თანაბარი უფლება და მოვალეობა უნდა ჰქონდეს ქვეყნისა და კაცობრიობის წინაშე“!...

აი, ამ ადამიანურ უფლებათა საფუძვლების აღმსარებელ სულმნათ წინაპართა ხსოვნას დღესასწაულობს მთელი საფრანგეთი 14 (1) მკათათვეს სწორუპოვარის ზეიმითა. წლევანდელი 14 მკათათვე საფრანგეთს მეტად სამწუხარო და სამგლოვიარო პირობებში გაუთენდა როდესაც მისი საუკეთესო შვილები ათასობით ბრძოლის ველზე თავსა სდებენ და სისხლსა ჰღვრიან მამულისათვის, როდესაც საფრანგეთში კიდით-კიდე დაქვრივებულ ქალებს და დაობლებულ შვილებს შეუშრობელი ცრემლი სდისთ და მიცვალებულ ქმრებს, მამებს და ძმებსა ჰგლოვობენ, სრულებით ბუნებრივად ადგილი არა უნდა ჰქონოდა ჩვეულებრივს წინანდელს მხიარულებას, ქუჩაში ცეკვათამაშს, თავდავიწყებულ გართობას...

ყოველ შემთხვევაში ფრანგების ეროვნული დღესასწაული ღირსეულად იქმნა აღნიშნული. მთელი პარიზი მოკავშირეთა დროშებით იყო მორთულ-მოკაზმული და პარიზელები ემზადებოდენ მონაწილეობა მიეღოთ ფრანგთა ეროვნულ საგალობელის „მარსელიეზის“ ავტორის ნეშტის გადმოსვენებაში. უკვდავი ავტორი უკვდავის საგალობელისა რუჟე დე ლილი (Rouget de Lisle) დასაფლავებული იყო პარიზს ახლო შოაზი-ლო-რუა-ში. პარიზის ქალაქის თვითმართველობამ კითხვა აღძრა საუკეთესო მამულიშვილის ნეშთი პანთეონში გადმოესვენებინა საფრანგეთის დიდებულ შვილთა გვერდით და საამისოდ სწორედ 14 მკათათვე აირჩია. მაგრამ რადგან პალატას უნდა დაედგინა მისი გადმოსვენება პანთეონში, ხოლო რადგან საპარლამენტო არდათების გამო ასეთის კანონის გამოცემა შეუძლებელი გახდა, მთავრობამ გადასწყვიტა, ძვირფასი ნეშთი დროებით დაასვენონ ინვალიდში, ნაპოლეონისა და საფრანგეთის სხვა გამოჩენილი გენერლების გვერდით. ხოლო როცა პარლამენტი შეიკრიბება, დაადგინეს ინვალიდიდან პანთეონში გადმოასვენონ საბოლოოთ,. 14 მკათათვეს ამ გადმოსვენების ცერემონიას უნდა გაეწია მაგივრობა იმ დღესასწაულისა და საზეიმო აღლუმისა, ყოველ წელს რომ იმართება ხოლმე ლონშანის ველზე.

ეტუალის სატრიუმფო კამარას დილის 8 საათიდანვე ზღვა ხალხი მოაწყდა და მის გარეშემო შეჯგუფდა. ათის ნახევარზე ნეშთიც მოასვენეს და კუბო დაასვენეს პირველ რესპუბლიკის დროის ზარბაზნებზე. შვიდი ბაირაღი (მოკავშირეთა) კუბოს ამკობდა. გარეშემო წრე ჰქონდა შემოვლებული პარიზის გარნიზონის ჯარს. ათს 15 წუთი უკლდა, რომ მოვიდნენ მთავრობის წარმომადგენელნი, სადიპლომატო კორპუსი, სენატორები, დეპუტატები და სხვადასხვა დელეგატები. აჰა, გამოჩნდა რესპუბლიკის პრეზიდენტი და გაისმა მუსიკის ხმა. ოპერა-კომიკის მომღერლებმა მარსეიეზა დასძახეს, მათ ბანი მისცა მომღერალთა გუნდმა და მუსიკამ. ხალხი თავმოხდილი, სმენად გადაქცეული გულაჩუყებული ყურს უგდებს თვისის იმედის გამომხატველ ჰანგებს. ამ დროს ჰაერში გამოჩნდა ჰაეროპლანები, მოხდენილათ კამარა შეჰკრეს სატრიუმფო თაღის თავზე და მარსეიეზის მქუხარე ხმას მანქანების რუხრუხის ხმაც შეუერთეს. ხალხის ტაშისცემას და აღტაცებას საზღვარი არა აქვს... ენით გამოუთქმელი, კალმით აუწერელი სურათია. მეტად აღმაფრენია ყურება ამ ზღვა ხალხისა, ერთის აზრით და ერთის გრძნობით გამსჭვალულისა, სახეზე ყველას, დიდსა და პატარას, ქალსა თუ კაცს, მტკიცედ აქვს აღბეჭდილი ფიცი, ფიცი უწმინდესი: განსაცდელში მყოფ მამულს ვენაცვალოთ, მას შევსწიროთ მსხვერპლად ჩვენი თავი, მთელი ჩვენი არსება, უკანა[illegible] სისხლის წვეთამდეო.

ეტუალიდან პროცესია ინვალიდისაკენ გაემართა, კუბოს მისდევენ პრეზიდენტის ეტლი, მთავრობის წევრები, სადიპლომატო კორპუსი, სენატორ-დეპუტატები. გაიარეს ელისეს ველი, ალექსანდრე III-ის ხიდი. დაბლა მოფრინავი აეროპლანები სულ თავს დასტრიალებენ პროცესიას. თერთმეტის 35 წუთი იყო, რომ სამგლოვიარო პროცესია ინვალიდის კარებს მიადგა. წინ უძღვის პარიზის კომენდანტი გენერალი გალოპენი და მისი შტაბი. სამხედრო საყვირთა ხმა გაისმის. უკვდავ საგალობლის ავტორის კუბოს გამოჩენაზე ხალხი ქუდებს იხდის. პრეზიდენტიც მოვიდა, გაიარა შიგნითა ეზო და გაემართა სენ-ლუის სამლოცველოსაკენ. იქიდან კიბე აიარა და სალაპარაკოდ გაემზადა. გარშემო სიცარი დუმილია გამეფებული. პრეზიდენტმა სთქვა თვისი მშვენიერი სიტყვა, რომელშიაც სავსებით თავი იჩინა მისმა ცნობილმა ორატორულმა ნიჭმა და რომელშიაც უებრო ხელოვნებით ჩააქსოვა მთელი სული და გული საფრანგეთის ერისა, მისნი სულიერნი განცდანი და მისწრაფებანი. გვაპატიოს მკითხველმა, თუ ამ შესანიშნავს და თან გრძელ სიტყვას მხოლოდ შემოკლებით გავაცნობთ.

„ბატონებო,—დაიწყო რესპუბლიკის თავმჯდომარემ,—როდესაც რესპუბლიკის მთავრობამ დაადგინა რუჟე დე-ლილის ნეშთი შესაფერის პატივით პარიზში გადმოესვენებინათ ეროვნულ დღესასწაულის დღეს, იმ ომის დროს, რომელმაც ევროპის ბედ-იღბალი უნდა გადაწყვიტოს, ამით მთავრობას მარტო ის კი არა ჰსურდა, რომ პატივი ეცა ფრანგ ოფიცრისათვის, რომელმაც, განსაცდელის ჟამს, თვისს ლექსში ჩააქსოვა სული სამშობლოსი; მთავრობას ჰსურდა საფრანგეთის შვილთათვის წინ გაეშალა ორი უუდიდესი ფურცელი ჩვენის ისტორიისა, მოეგონებინა ყველასათვის წარსულის დიდი გაკვეთილი, და იმ დროს, როცა საფრანგეთი გმირულად თავისუფლებისათვის იბრძვის, ედიდებინა უებრო საგალობელი, რომლის სიტყვებმა ერს გულში ესოდენი სიქველენი გაუღვიძეს.

„აღმტაცი თხზულება რუჟე-დე-ლილისა 1792 წ. წარმოადგენდა ყიჟილს შურისძიებისას, გულისწყრომისასა და ზიზღს კეთილშობილ ერისას, რომელმაც გამოაცხადა უფლებანი ადამიანისა და რომელმაც ამაყად უარჰყო მუხლი მოედრიკა უცხოელის წინაშე“.

პუანკარემ მოაგონა დამსწრეთ ისტორია ამ ეროვნულ საგალობლის წარმოშობისა. ეს საგალობელი გამომთქმელია მთელის მსოფლიოს აზრისა და გასაგებია მთელის ქვეყნიერებისათვის. საჭირო იყო ისეთის ჰიმნის დაწერა, რომელსაც თანამედროვე ომის დროს გამოეთქვა მთელი აღფრთოვანებული ზრახვა და მისწრაფება საფრანგეთისა, რადგან გაბატონების აჩრდილი ერთხელ კიდევ დაემუქრა ერთა თავისუფლებასაო.

პრეზიდენტმა ჩამოსთვალა ის მსხვერპლნი, საფრანგეთმა რომ შესწირა მშვიდობიანობის [illegible], მაგრამ მტრის მილიტარიზმმა [illegible] სამართლიანობა და მშვიდობისმოყვარეობა სხვათაო.

„მაგრამ,—სთქვა ორატორმა,—რაკი იძულებულ გვყვეს მახვილი გვეშიშვლებინა, უფლება არა გვაქვს, ბატონებო, ქარქაშშივე ჩავაგოთ ეს ამოწვდილი მახვილი იმ დრომდე, სანამ ჩვენთა მიცვალებულთა სისხლს არ ამოვიღებთ და სანამ მოკავშირეთა საერთო გამარჯვება შეგვაძლებინებდეს ჩვენნი ნანგრევნი აღვადგინოთ, საფრანგეთის დაკარგული ადგილები დავიბრუნოთ და სანამ ისე არ დავიჭერთ საქმეს, რომ უზრუნველ ვიქნებით და მტრის ხელმეორე შემოსევისა არ გვეშინოდეს.

„ისეთს ჯარისკაცს ვერ ნახავთ, არა მოიძებნება ისეთი ძოქალაქე, ვერ შეხვდებით საფრანგეთში ისეთ ქალს, რომ არ ესმოდესთ გარკვევით, რომ მთელი მომავალი ჩვენის ერისა და არა მარტო მისი სახელი, არამედ მთელი მისი არსებაც დამოკიდებულია ამ საზარელ ომიანობის წუთებზე. სულითა და გულითა ვართ მონდომებულნი ვსძლიოთ მტერს, დარწმუნებულიცა ვართ, რომ ვსძლევთ. იმედი გვაქვს, რომ ძალა და ღონე შეგვწევდება საამისოთ როგორათაც ჩვენ, ისე ჩვენთა მოკავშირეთაც, მსგავსადვე იმედი გვაქვს ჩვენის უფლებიანობისა.“

ზავს მანამდე არ შევკრავთო,—დაასრულა ორატორმა,—სანამ არ გვეცოდინება, რომ მტერს ხამუდამოდ გამქრალი ექნება სურვილი ომის ხელმეორეთ ატეხისაო. მანამდე ვებრძვით მტერს, სანამ სულ ერთიანად გავწყდებითო. ამისთვის საჭიროა არაფერი დავზოგოთ, ყველანი შევერთდეთ და იმ დრომდე ვიბრძოლოთ, სანამ მტერს ძირს არ დავსცემთ და ევროპას არ გავანთავისუფლებთ იმ მაჯლაჯუნასაგან, რომელიც გერმანელთა განდიდების მანიის სახით მოევლინა ევროპასაო.

არა ერთხელ მხურვალე ტაშისცემით შეწყვეტილა სიტყვა პრეზიდენტისა საათის თერთმეტზე დასრულდა. ოპერა-კომიკის არტისტი ქალი დელნა და პანრი ალშე მარსელიოზას გალობენ, მათ ბანს აძლევენ გუნდი ოპერა-კომისა, მუსიკა და ბოლოს თვით დამსწრენიც. გულის ამჩუყებელი ცერემონიაც თავდება და ხალხი ნელ-ნელა იშლება.

საღამოს ხუთ საათამდე ინვალიდი ღია დასტოვეს, რომ ხალხს გაევლო კუბოს წინაშე და პატივი ეცა სამშობლოს უკვდავ შვილის ნეშთისათვის.

ბაირაღებით მორთულ ქალაქში ქალები ნიშნებს ჰყიდიან „პარიზის დღის“

## ეკონომიური და სოციალი მნიშვნელობა კოოპერატული ამხანაგობებისა

კოოპერატულ ამხანაგობათა განვითარება დასავლეთ ევროპაში, რუსეთში და ჩვენში, ისეთის სისწრაფით მიდის წინ, რომ მიზეზი მათი ასეთი გავრცელებისა დიდ შიშს იწვევს მრეწველებისა და ვაჭრებისაში.

მიზეზი კი კოოპერატივების ზრდა-განვითარებისა აიხსნება მათი ეკონომიური და სოციალური მნიშვნელობით.

როგორც ვიცით, თანამედროვე ადამიანი მძიმე ეკონომიურ ბრძოლას განიცდის. მდაბიო მოქალაქე, გლეხი და მუშა იტანჯვიან, როგორც მწარმოებელნი, და როგორც მომხმარებელნი. და ამ უკანასკნელ გარემოებას კი აქამდე ძლიერ ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ; ამასობაში ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ დიდი ნაწილი საზოგადოებისა სცხოვრობს განსაკუთრებით მომხმარებელთა ხარჯით. ისინი იძულებული არიან ზედმეტი იხადონ რაღაც „შუამავლობისათვის“, რომელიც თავის თავად საქონლის ღირებულობას სრულიად არაფერს ჰმატებს. აი სწორედ აქ იბადება ის აზრი, რომ შეერთდნენ ყველა მომხმარებელნი, გაიჩინონ საკუთარი მაღაზიები, და ის მატერიალური სარგებლობა, რომელიც შუამავალს ხვდება წილად, ისევ თვით მომხმარებლებმა დაიბრუნონ.

ასეთ მოწყობილ ამხანაგობებს შეადგენენ ეგრედ წოდებული „მომხმარებელი ამხანაგობები“, რომელთაც აქვთ საკუთარი მაღაზიები, სადაც საქონელს ჰყიდიან თითონ წევრები. მიზანი ასეთი ამხანაგობებისა გამოიხატება იმაში, რომ დროზედ მიაწოდონ წევრებს ხელმისაწდომ ფასებში ყოველგვარი საქონელი და გაუადვილონ მათ ცხოვრება.

თვით სიტყვა „კოოპერაცია“—ნიშნავს ეტიმოლოგიურად იმ წესს, რომლის შემწეობით ერთი ადამიანი მოქმედობს სხვასთან ერთად.

ამ შეხედულობით კოოპერაცია თითქოს შეიცავს ადამიანის ყოველგვარ საქმიანობას. მისი მიზანია არა კონკურენცია, არამედ ცხოვრების გაადვილება, ცხოვრება დამყარებული ერთობაზედ და სასტიკი ბრძოლა ვაჭრების უდიერობასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრებმა ხალხთა ეკონომიურ ცხოვრებაში შეასრულეს დიადი სოციალური როლი და დიდი სამსახური გაუწიეს კაცობრიობას ხალხების ერთმანეთის გაცნობით და დაახლოვებით, მაინც თანამედროვე ცხოვრებაში ისინი ეკუთვნიან იმ ელემენტებს, რომელნიც სისხლსა სწოვენ მომხმარებლებს და სცხოვრობენ მათი ხარჯით. მათი შრომა, ვითარცა ადვილი და მომგებიანი, იზიდავდა და იზიდავს ამ ჟამადაც აუარებელ პირთ, რომელნიც ასრულებენ შუამავალთა როლს. ასეთი შუამავალთა რიცხვმა იქამდე იმატა, რომ მათმა შრომამ და შემოსავალმაც შესამჩნევად იკლო, რის გამო მათ ნელ-ნელა იწყეს უსაჭიროეს საქონელზედ ფასების აწევა და ამ რიგად შეჰქმნეს ის, რისი მოწმეცა ვართ თვითეული ჩვენთაგანი: სიძვირე საქონლისა და დაუნდობელი კონკურენცია.

ეკონომისტ ჟიდს ამის შესახებ მოჰყავს საინტერესო ციფრები: საფრანგეთში ითვლება მარტო ბაყალი 106101, საშუალოდ ერთი ყოველ 90 ოჯახზე; 52957 მეპურე და ამდენივე ყასაბი, თითო ყოველ 184 ოჯახზედ. ამ ცხრილიდან მას გამოჰყავს, რომ საფრანგეთში 1/10 მცხოვრებლებისა სცხოვრობს ვაჭრობით— პროპორცია, როგორც ხედავთ, ძლიერ დიდია: ათი კაცი (მომხმარებელი) არჩენს ერთს შუამავალს. ამიტომ არ არის საკვირველი, რომ კოოპერატულმა მოძრაობამ ამ უკანასკნელ ხანებში არაჩვეულებრივი მიმართულება მიიღო და თვალსაჩინოდაც გავრცელდა. მარტო ბელგიაში 400-ზე მეტი კოოპერატიული ამხანაგობა ითვლება. მეტადრე ამ სასიხარულო მოვლენამ იჩინა თავი მის შემდეგ, როცა მუშათა ხალხმა შეიგნო, რომ ადამიანი უძლურია, სანამ განცალკევებულია, და ძლიერია როცა შეკავშირებულია.

უპირველეს ყოვლისა „კოოპერატიული საზოგადოებანი (მხედველობაში მაქვს მრეწველობითი ამხანაგობები და არა წარმოებითი)—საშუალებას აძლევენ ღარიბ ხალხს ნაკლები დახარჯონ და მეტი შეიძინონ. ყველაზედ დიდი ეკონომია ხდება პურზედ, რადგან კოოპერატიული საზოგადოებანი, უმთავრესად, ცდილობენ მიაწოდონ თავიათ წევრებს კარგი ხარისხოვანი და იაფი პური, რომელსაც აწვდიან მათ შედარებით ბაზრის ფასებთან უფრო იაფად. ეს „ჩამორჩენა“ ხდება არა მარტო ფასის დაწევით, არამედ ეკონომიური წაომოებითაც, რომელიც მინიმუმამდინ ამოკლებს ხარჯებს. ამ რიგად, კოოპერატიული ამხანაგობის სარგებლობა გამოიხატება იმაში, რომ მშრომელ ხალხს პურის სიიაფეზედ შეუძლიან მეტი ხარჯოს, ვიდრე ადრე, მეტ საზრდოს კი მოაქვს ადამიანისათვის მეტი ძალ-ღონე, ჯანმთელობა, სიმხნევე მუშაობაში და ნაკლები ავადმყოფობა. მაგრამ ეს სარგებლობა ასეთს ამხანაგობებს მოაქვთ არამც თუ მარტო წევრებისათვის, არამედ დიდ ძალი მომხმარებლებისათვის. მართლაც და, იმ დღიდან, როდესაც, რომელიმე ქუჩაში, ან უბანში დაარსდება ასეთი კოოპერატივი, ახლო-მახლო მდებარე ვაჭრებს უჩნდება ახალი და ძლიერი კონკურენტი,—ძლიერი იმიტომ რომ კოოპერატივს თავის არსებობისათვის ძლიერ ნაკლები ხარჯი სჭირდება და ამიტომ მას შეუძლიან უფრო დასწიოს ფასები, ვიდრე ვაჭარსა, რის გამო კოოპერაცია ამყარებს საშუალო ფასებს, და აი ამაშია კიდეც მისი უპირატესობა. გარდა ამისა, კოოპერაცია საშუალებას აძლევს ადამიანს უშრომლად თავი მოუყაროს ორიოდე გროშსაც, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით მუშა ხალხისათვის, რომელსაც ამით საშუალება ეძლევა ან მოიხმაროს ის გაჭირვების დროს, ან და გააფართოვოს თავისი მოთხოვნილებები. საყურადღებოა აქ ერთი გარემოება: ვინც მეტს ხარჯავს ის მეტს მოგებასაც ხედავს, რადგანაც მოგება ნაწილდება პროპორციალად ხარჯებისა. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს „გადარჩენა“ ხდება უშრომლად და შეუმჩნევლად, რასაც დიდი უპირატესობა აქვს წინანდელ თავმოყრის წესთან, რომელიც გამოიხატება მოთხოვნილებათა უარყოფაში და შევიწროებაში. ეს კიდევ არაფერი,—ეგრედ მოწყობილ კოოპერატივს შეუძლიან დახმარება აღმოუჩინოს უმუშევრობისა, ავადმყოფობისა ანუ სიკვდილის დროსა. უმუშევრობა არის ერთი უმთავრესი უბედურებათაგანი მუშა ხალხისათვის. მუშათა სინდიკატებს ინგლისში, გერმანიაში და ბელგიაში წინდაწინვე აქვთ გათვალისწინებული ეს სამწუხარო და მოსალოდნელი მოვლენა, და რა ჟამსაც იგი მოახლოვდება, უხვად ურიგიბენ შესაფერ შემწეობას თავიანთს წევრებს. სადაც სინდიკატები არ არის, იქ კოოპერატიული ამხანაგობები დროზედ აქცევენ ასეთ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას და აწვდიან თავიანთს უმუშავრად დარჩენილ წევრებს ყოველგვარ საჭირო სანოვაგეს. ზოგან კოოპერატივებში შემოღებულია კვირეული შემოტანა, რომელიც უზრუნველყოფს მათვის კრიზისებისა და სხვა რამე გაჭირვების დროს პურსა და სხვა რამეს. ასეთი წესრიგი, თქმა არ უნდა, ღირსია ყურადღებისა და დიდი მორალი მნიშვნელობაცა აქვს, რადგანაც აიძულებს ადამიანს იცხოვროს საერთო ცხოვრებით და ეწინააღმდეგება იმ ველურ ეგოიზმს რომელიც ეგრე თარეშობს ჩვენს დროში.

გარდა ამისა, კოოპერატივს სხვა ღირსებაცა აქვს! იგი ინახავს მუშის ძალას და იმავ დროს ნაყოფსაც უკეთესს იძლევა. სადაც კოოპერატივი კარგად არის დაყენებული, მას დიდი ვაჭრობა აქვს, ამიტომ მას შეძლება ეძლევა შეიძინოს სამუშაო მანქანები. ამის მაგალითს გვიჩვენებს პურის წარმოება. დიდ კოოპერატულ პურის საცხობებში პურს ზელავენ მექანიურად და აცხობენ მათემატიკურის სისწორით. ამის გამო პური გამოდის საუკეთესო ხარისხოვანი ბლომად და მუშაობაც ნაკლები უნდება. ასეთ პურის საცხობებს დიდი უპირატესობა აქვთ იმ კერძო პურის საცხობებთან, რომელნიც იმყოფებიან სადღაც მიყრუებულ, ბინძურ ადგილებში, სადაც სიბინძურესა და სხვა მიზეზების გამო ვინ იცის როგორ პურს გვაწვდიან. ამ რიგად კოოპერაცია ებრძვის ყოველ გვარ სიყალბეს. კარგი საზრდო—ფრიად საყურადღებო საკითხია ჩვენს დროში, როდესაც საქონლის სიყალბე თითქმის მეცნიერებად გარდაიქცა. ჟორჟონის ოფიციალი მოხსენებიდან სჩანს, რომ ღარიბი, რომელიც ჯერ კიდევ 1885 წ. დღეში 2 გირვანქა პურსა სჭამდა, დღეს 1/4 გირვანქა ნამდვილ პურსა სჭამს, რადგანაც დანარჩენი შეადგენს ნარევს. მუშა ხალხი გრძნობს რასაც სჭამს, მაგრამ სხვა საშუალება არა აქვს, რადგანაც ხშარად უსახსრობისა გამო პური ნისიად მოაქვს. იმავე ჟორჟონის ცნობით, ყავას ხშირად ამზადებენ თათრულ ლობიოსაგან და მიწისაგან. პილპილს ამზადებენ სახამებლის მარცვლებისაგან და დუქნის ნაგავისაგან, აბსენტს—მდაბალი ხარისხოვანი სპირტისაგან და სხვა და სხვა ესენციებისაგან, რომლებსაც ამზადებენ ლაბარატორიებში მეცნიერი ქიმიკოსები; ღვინოს—ლეღვის წვენისაგან, გაფუჭებულ ქიშმიშისაგან, მოლოქისაგან, შავი მოცხარისაგან და სხვა და სხვა...

ხშირად წამხდარს, დაძმარებულ ღვინოებს ხელოვნურად აგემრიელებენ: ათბობენ, ამჟავებენ ძმრის არყით, ურევენ წყალს, მიუმატებენ გლიცერინს მშრალ შანარს, დაბალ ხარისხოვან სპირტს და

სასარგებლოდ და ფულებს აგროვებენ დაჭრილთა და მათ ოჯახთა სასარგებლოდ.

მეორე დიდი მანიფესტაცია გაიმართა თანხმობის მოედანზე, სადაც პატრიოტთა ლიგამ გვირგვინით შეამკო სტრასბურგის ქანდაკება. გვირგვინი ისე შეამკეს ქალაქ ლილის სტატუით ქალაქის თვითმართველობამ და სხვა და სხვა კავშირებმა.

თ. სახოკია.

პარიზი, 15 (2) მკათათვე.

# სიტყვა

## თქმული ეპისკოპოს ლეონიდის მიერ ვაჟა-ფშაველას დასაფლავების დღეს

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

სათაყვანო და სულზე უტკბესი ჩვენი სამშობლოს იშვიათი შვება-ნეტარების აღმძვრელი მოყვანილობის გულმკერდი დაგვირისტებულია, როგორც ვიცით, ბროლივით გამსჭვირვალი, ანკარა და მკვირცხლად მჩქეფარე ხშირი მდინარეებით, ყველა ეს მდინარეები, ვით ჩვილი რძით სავსე დედის ძუძუს, ჩაჰკონებიან თავიანთი სათაურებით მთებს, რომლებიც მუყაით დარაჯებად გარს შემორტყმიან საქართველოს საზღვრებს. აქედან, მთების წიაღიდან, ეზიდებიან იგინი სამშობლოს ყოველი კუთხისკენ იმ სიმდიდრისა, დოვლათისა და ბარაქიანობის წარმომშობ ძალას, რომლითაც ცნობილია ჩვენი სამშობლო. ამ მდინარეების მეოხებაა, რომ საქართველო მთელი წლის განმავლობაში ხასხასედემისებურ წალკოტად, რომელშიაც ერთიმეორეს ეხლართებიან ვაზი და ფორთოხლის ხე, თურინჯ-ნარინჯი და ლეღვ-ბროწეული, ზეთისხილი და დაფნა ამ მდინარეების გამოა, რომ საქართველო მოფენილია უწარჩინებულესი თვისების ხილის ბაღებით და ალაგ-ალაგ დაბურული უტეხი ტყეებით; ეს მდინარეებია მიზეზი, რომ საქართველოს ნიადაგში ჩაბნეული ხორბლის თესლი მოსავლის ულეველ ზღვად სკდება და მისი მთაბარი აღმოაცენებს აბრეშუმის მსგავს ნოყიერ ბალახს.

მდინარეთა ასეთი გავლენა, ასეთი მნიშვნელობა და ღირსება ჩამოუყალიბა ამ წამს ჩვენს წინ მცხედრად მდებარე ბუნების უებრო მესაიდუმლემ ვაჟა-ფშაველამ შემდეგს ხელის-ხელ საგოგმანებელ ლექსში: „მაღალის მთების შვილი ვარ, ყელთავქვე დაკიდებული, მოვდიერ დაუღალავად სოფლისთვის აკიდებული... სოფლის შინავარ, შინასებრ გულ-მკერდზე ჩაკიდებული. დაგვალულს მინდორს ვაცოცხლებ, თან ვეუბნები ნანასა; ბალახს გავმართავ წელშია თავს ავუმაღლებ ყანასა“...

დიახ, აქ გამოყვანილია მდინარეთა გავლენა-მნიშვნელობა, მაგრამ მე კი ამ საუცხოვო სიტყვების გაგონებაზე თვალწინ მიდგება თვით ვაჟას ბუმბერაზი პიროვნება, ვაჟას დიადი ღირებულება, ვაჟასაგან სამშობლოს კეთილდღეობისათვის გაწეული ღვაწლი და ფასდაუდებელი შრომა.

თუ არაგვი გამოქუხს კავკასიონის ქედის გულიდან, ვაჟაც ამავე ქედის ერთერთ მწვერვალზე აშენებულ ბუდიდან გადმოფრენილი არწივია; თუ „ყელ თავქვე დაკიდებულნი—მთის მდინარეები—დაუღალავად მოდიან სოფლისთვის აკიდებულნი“, ე. ი. ქვეყნის პოხიერებისა და უხვი ნაყოფიერობისათვის საჭირო ნაწილებით დაბარგულ-დატვირთული, არც ვაჟა ჩამოსულა როდისმე ბარად ხელცარიელი და უბარგოდ. ვაჟამ ბარში ფეხჩამოდგმისათანავე ჩამოიყოლია ძვირფასი ბარგი ბრწყინვალე ნიჭისა, რომელმაც თავი იჩინა ჯერ ისევ ვაჟას მოსწავლეობის დროს და შემდეგში ხომ, როდესაც ეს ნიჭი გააპირფხავა და გააბასრა სწავლა-განვითარების ქასურზე, მისი დიადი გონების სალაროდან ამოხეთქილ შემოქმედების შადრევანი აღარა დროს აღარ შეჩერებულა, ვაჟა ბარში აღარ ჩამოსულა, რომ გულზე დაკიდებული შანასავით არ ჩამოეტანოს თვალმარგალიტზე უძვირფასესი ნაწარმოებნი, აღარ გამოსულა ჩვენში ბეჭდვითი ორგანო, რომ მისი ფურცლები არ დაემშვენებინოს ვაჟას ნაწერებს, აღარ გაზრდილა ჩვენში თაობა, რომ მთელი არსებით არ დასწაფებოდეს ვაჟას ლექსებისა და პროზის უკვდავების წყაროს. ვაჟას მადლმოსილ შემოქმედების ნიშნობრივი მხარეა ლექსში რომ ვკითხულობთ: „დაგვალულს მინდორს ვაცოცხლებ, თან ვეუბნები ნანასა; ბალახს გავმართავ წელშია, თავს ავუმაღლებ ყანასა“...

ვაჟამ გაგვაცოცხლა, წელში გაგვმართა და თავი მაღლა აგვაღებინა დიდსა და პატარას იმითი, რომ გაგვაცნო მთა, ხელის-გულივით გადაგვიშალა მთის ავი და კარგი, ცხადი გახადა ჩვენთვის მთიელ ქართველებს სულის მშვენებანი, შეგვასისხლხორცა და განუყრელად შეგვადუღა კავკასიონის ქედის კლდე-ღრეებში და ღადა-ღუდეებში მცხოვრებ თუშ-ფშავ-ხევსურებთან. თუ ვაჟამდე ეს თემები ყველას ბეჩავებად, ველურებად და ტყის ნადირებად გვყავდა წარმოდგენილი, ვაჟამ სულ ახალი შუქით გაგვინათა იგინი, საუკეთესო მამულიშვილებად წარმოგვიყენა მთის მკვიდრნი და ამით ახალი ქვეყანა შეგვძინა, თუ შეიძლება ასე თქმა—სულიერი ტერიტორია გაგვიფართოა, გამოგვიხსნა იმ ბეცობისაგან, რომლის გამოისობითაც მთიელებს ვერ ვამჩნევდით.

დიდია ვაჟა, როგორც მგოსანი; მომხიბლავია, როგორც მძლავრი სიტყვერების ქურუმი, მაგრამ მთიელთა ცხოვრების გაშუქების მხრივ, გარდა ალექსანდრე ყაზბეგისა, ვერც ერთი ქართველი მწერალი ვერ ამოუდგება მას გვერდში. ამ შემთხვევაში ვაჟა სვეტია, რომელიც მთელი ადლით სჭარბობს ქართველი მწერლების გუნდს. ეს დიადობა ვაჟასი ორმაგდება იმ გარემოებით, რომ ვაჟასაგან შეყვარებული ხევსური თუ თუშ-ფშაველი იგივე ქართველია სულით და გულით, ვაჟას მთიელიც იმასვე ეტრფის და შენატრის, რაც სანატრელია ყოველი პატიოსანი ქართველისათვის; ვაჟას გმირებსაც ის უხარიანთ და ის ადარდებთ, რაც ახარებს ანუ რაც ადარდებს ქართველი ერის ნამდვილ გმირებს. ვაჟა ჭირისუფალია მთელი ქართველი ერისა და არა რომელიმე თემისა, სამშობლოს რომელიმე კუთხისა, განსაზღვრული ხევისა. ვაჟა **„შინაა სოფლისა“** და ეს სოფელი მას ესმის მთელ საქართველოდ. აკი ამ ბოლო დროს დიდსა და პატარას საქართველოში ვაჟასკენ ჰქონდა მიმართული ყური და გონება, ვაჟას აზრსა და შეხედულობას იზიარებდნენ, როგორც ზეშთაგონებულს ვაჟას სიტყვას აფასებდნენ ბაჯაღლო ოქროდ.

სწორედ ახლა იყო ჩვენთვის საჭირო ისეთი შუქმფენი მოძლვარი და ერისადმი სიყვარული მგზნებარე წინასწარმეტყველი, როგორიც იყო ვაჟა-ფშაველა. მაგრამ დახე ჩვენს უბედურებას და უიღბლობას! სწორედ დიდი გაჭირვებისა და საშიში კრიზისის განცდის ჟამს გვეცლება ხელიდან უმთავრესი გზის მაჩვენებელი; საშინელი კრიზისის განცდის დროს ჩერდება იმ გულის ცემა, რომელშიაც სალოცავად ესვენა მარტო სამშობლო; ახლა გადატყდა შუაზე ის კალამი, რომლის ნაწერებიც გმირებად ჰქმნიდა მკითხველებს.

ვაჟას გარდაცვალების გამო მთა და ბარი ერთმანეთს ეჯახებიან, ყველანი შეწუხებულნი და აზრიალებულნი ვართ, არ გვინდა დავინახოთ, რომ ვაჟა კუბოში ასვენია, ვაჟა გარდაიცვალა, ვაჟა დაგვეკარგა. მაგრამ რაც უნდა ბევრი ვიტიროთ, რაც უნდა თმები ვიგლიჯოთ და პირი ვიფხოჭოთ, ვაჟას მაინც ვეღარ გავაცოცხლებთ, ვაჟას სიკვდილი სინამდვილეა და, გვსურს თუ არა გვსურს, ამაში უსათუოდ უნდა დავრწმუნდეთ. საქმე მხოლოდ ისაა, რომ ასეთმა სამწუხარო სინამდვილემ არ უნდა დაგვჯაბნოს, გული არ უნდა გაგვიტეხოს და არავინ არ უნდა ჩაგვაყენოს სასოწარკვეთილებაში. მომეტებული ნაწილი ჩვენთაგანი მთის შვილები ვართ და არა ერთხელ გვინახავს, რომ ზვავად მოხეთქილ დიდ მთას შეუჩერებია მდინარე, გაუწყვეტია მისი მთლიანობა, გაუშრია მისი კალაპოტი. მაგრამ ყველა ეს ყოფილა მხოლოდ დროებითი: მდინარეს მაინც თავისი უქნია, ბოლოს მაინც გადუხეთქია ზვავი, გაუჭრია ხორგი, უპოვნია გასავალი, აღუდგენია თავისი მსვლელობის მთლიანობა და კვლავინდებურად ისევ აუხმაურებია მიდამო ასე იქნება ახლაც. ულმობელმა ზვავმა ქვეშ დაიტანა ის, ვინც უკვდავების ნექტარს გვასმევდა, მაგრამ ნექტარი მაინც ისევ აჩქეფდება ჩვენში, რადგან ვაჟას ნაწერებს დღეიდან უფრო გაუმრავლდება მკითხველები, თანდათან ეს ნაწერები უფრო დიდ რიცხვს გაუჯდება ძვალსა და რბილში; ვაჟას ნაწერები უთუოდ დაბადებენ ვაჟას საკადრის მემკვიდრეებს, რომლებიც ბოლოს ვაჟასებურ ისევ აახმაურებენ და გაიოალვიძებენ საქართველოს მთასა და ბარს.

განისვენე გულდამშვიდებით სამშობლოს უებარო გუშაგო, და გწამდეს, რომ შენი კურთხეული მარჯვენით ნათესი ყანა ჩქარა დაპურდება, ჩქარა გაგიჩნდებიან სულიერი მემკვიდრენი და ისინი ჩამოგძახებენ სამარეში: გაიხარე და დასტკბი, ჩვენო დიდო მოძღვარო, შენი სათაყვანო სამშობლო აყვავდა, გაძლიერდა,

იყავნ, იყავნ!

---

გულუბრყვილო მყიდველს ჰგონია, წმინდა ყურძნის წვენსა ვსვამო.

ამის შემდეგ ცხადია, თუ როგორი მნიშვნელობა ეძლევა კოოპერატივს. იგი სპობს ყოველგვარ სიყალბეს, რადგანაც მისი მიზანია კარგი საქონლის მიწოდება წევრებთათვის, და არა მოგება, და თუ მომხმარებელი ისურვებს თავიდან აიცდინოს ყოველგვარი სიყალბე, ეს მას ადვილად შეუძლიან: საჭიროა მხოლოდ მეტი უნარის გამოჩენა და საკუთარი ინტერესების შეგნება.

ასეთია ეკონომიური მნიშვნელობა კოოპერაციისა, მაგრამ არა ნაკლებია მისი სოციალი მნიშვნელობაც.

კოოპერაცია ჰქმნის საზოგადოებრიობას ზოგნი ხედავენ ამაში რეგრესს და ამ აზრს იმით ასაბუთებენ, რომ ბარბაროსობის ეპოქაშიც ყველაფერი საზოგადო კუთვნილებას შეადგენდაო. მაგრამ მიუხედავად ასეთი შეხედულობისა, კოოპერატივების ასეთს მოვლენაში უნდა დიდ ღირსებას ვხედავდეთ.

ჩვენს დროში საზოგადოება ბევრს რამეში იჩენს ასეთს საზოგადოებრიობას, ამისი ცოცხალი მაჩვენებელია გზები, მდინარეები, ხიდები, სასეირნო ბაღები, სკოლები, სასამართლოები და სხვანი, ესე იგი, საერთო ცხოვრებას ისე ვყევართ შებოჭვილი, რომ ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ მას. ასეთი საზოგადოებრივი ცხოვრება. „არის ბედნიერება, რომელიც აიძულებს ადამიანს იცხოვროს არა მარტო თავისათვის, არამედ თავის მოძმეთათვის“.

აი ამაში გამოიხატება სწორედ ის დიადი სოციალი მნიშვნელობა დემოკრატიულ მიმართულებისა, რომლითაც გამსჭვალულნი არიან კოოპერატივები: აქ თავს იყრიან წარმომადგენელნი ყველა კლასისა, წოდებისა, უბრალო მუშები, ნასწავლნი, მეცნიერები, და აქ სწავლობენ ისინი ერთმანეთის პატივისცემასა და სიყვარულს. ყოველ მათგანს, როგორც მდიდარს, ისე ღარიბს შეუძლიან გახდეს წევრი კოოპერატივებისა და სარგებლობდეს მისი უპირატესობებით. აქ არ აქვს ადგილი კერძო კაპიტალს. კოოპერატული კაპიტალი ხელუხლებელია და შეადგენს ყველა წევრების კუთვნილებას. ამაში გამოიხატება მისი ძალა და უნარი საზოგადოების განახლებისა.

გარდა ამისა, კოოპერატივები ასწავლიან ადამიანს წინდახედულობას და ოჯახობას. რამდენია ისეთი მუშა, რომელსაც კვირიდან კვირამდი ნამუშევარი მიაქვს მევახშე ვაჭართან, რომელიც მათ სანოვაგეს ანისიავებდა! ამ ნისიას—რომლის საშუალებითაც წვრილ ვაჭრებს ხელთ უჭირავთ ღარიბი მომხმარებელნი—მათთვის საშინელი ვნება მოაქვთ. კოოპერაცია კი სპობს კრედიტს, რადგანაც მისი დევიზია—ყველაფერი ნაღდად ყიდოს. ესეც არ იყოს, კოოპერაცია ამყარებს მუშათა შორის სოლიდარობას მათს ზნეობას და ღირსეულ ადამიანებად ხდის, ამასთანავე სწრთვნის მათ ეკონომიურად: კოოპერატივების მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღებით ისინი სწავლობენ ვაჭრობასა და მრეწველობას.

ზოგიერთ კოოპერატიულ ამხანაგობებს აქვთ საკუთარი წიგნთსაცავები და ზალები, სადაც მართავენ ლექციების კითხვას, გამოფენებს, და ასეთის კულტურულის საშუალებით დიდ დახმარებას უწევენ ჩვენი დროის გამანადგურებელ სენს—ლოთობის წინაამდეგ ბრძოლას.

დასასრულ, შეიძლება ითქვას რომ კოოპერაცია არის ერთი საშუალებათაგანი საზოგადოების ნორმალ და რაციონალ განვითარებისა, საშუალება, რომელიც ამზადებს მის მომავალს და იმავ დროს ხელუხლებელ ჰყოფს ახლანდელსა. ამიტომ კოოპერატული დაწესებულებანი უნდა წარმოადგენდნენ ისეთ ნეიტრალ ნიადაგს, სადაც, მიუხედავად რწმენისა და შეხედულობისა, წევრებს შეეძლიანთ გაუწოდონ ერთმანეთს ხელი და მედგრად გასწიონ წინ დასახულ მიზნის მისაღწევად.

გრ. აბაკელია.

---

# სამგლოვიარო დეპეშები

აუარებელი დეპეშები მოგვდის ვაჟა-ფშაველას უდროვოდ გარდაცვალების გამო, მაგრამ ყველა იმათი მოთავსება გაზეთის ფურცლებზე შეუძლებელია ადგილის უქონლობის გამო. თავისს დროზე ისინი მოთავსებულ იქნება ცალკე კრებულში, რომლის გამოცემას აპირებს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობა. ეხლა კი ზოგიერთა დეპეშების შინაარსს გავუზიარებთ „საქართველოს“ მკითხველებს:

„ბათუმის ქალაქის თვითმართველობა მთელ ქართველ ხალხს უცხადებს თავისს ღრმა მწუხარებას მაღალ ნიჭის მქონე, ხალხის გულის ნადების მომღერალ და ხალხის მოჭირნახულე ვაჟა-ფშაველას უდროვოდ დაკარგვის გამო“.—ქალაქის მოურავი **თავადი ანდრონიკაშვილი.**

„გარდაცვალებულ ვაჟა-ფშაველას სახით საქართველომ დაჰკარგა თავისი საუკეთესო შვილი, რომელიც ახალთაობას უღვიძებდა გულში აღფრთოვანებულ სიყვარულის გრძნობას სამშობლოსადმი. მასწავლებელნი და მოსწავლენი ქუთაისის ქართულ გიმნაზიისა, იზიარებენ-რა საერთო გლოვას, სამძიმარს უცხადებენ განსვენებულ მგოსნის ოჯახობას“.—**დირექტორი ოცხელი.**

„ქუთაისის სომეხთა საზოგადოება, იზიარებს-რა თავისი ნათესავი ხალხის მწუხარებას, ღრმა გულწრფელ სინანულს გამოსთქვამს დიდებულ პოეტის ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გამო.—მრევლის სამზრუნველო“.

„ლაილაშის საზოგადოება ღრმა მწუხარებით შეპყრობილი მუხლნ იდრეკს ქართველ პოეზიის არწივის ვაჟას ცხედრის წინაშე და იზიარებს სამშობლოს საერთო გლოვას. პანაშვიდი გადავიხადეთ. რწმუნებულნი; ხარაძე, დადიშქელიანი, ნადირაძე, ავნაკიძე, მჟავანაძე, გელოვანი“.

**რაჭა.** თქვენთან ერთად ვიგლოვ საქართველოს ახალ უბედურობას. გარდაიცვალა გენიოსი „ვაჟა“. მაგრამ დაე, ხსოვნა მისი იყოს სტიმული წამებულ სამშობლოს აღორძინებისა.

**გიორგი გორდეზიანი.**

სამშობლოს მწუხარებამ საუკეთესო მგოსნის დაკარგვის გამო ღრმად დაგვიკოდა ყველას გული.

**ალექსი ჭიჭინაძე ოჯახითურთ.**

მიხეილის სათ.-აზნ. ბანკი ✠ მთელი მისი მსახურნი ეროვნულ მწუხარებას უერთებენ თავიანთ გულის წუხილს უდროოდ დაკარგულ მგოსან ვაჟა-ფშაველას გამო, ვინც ნიჭიერად დაწერილ თხზულებებში აღადგინა გმირული სული სახელოვან წინაპრებისა და მოუწოდა თავის ხალხს უკეთეს მომავლისთვის საბრძოლველად. მგოსნის ოჯახს კი თავიანთ ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ.

**გამგეობის თავმჯდომარე ფალავა.**

მრავალტანჯულ სამშობლოსთან ერთად დავსტირით ძვირფასს ვაჟა-ფშაველას. უკვდავია მისი შემოქმედება და ის ხალხიც, რომელიც მზგავს შვილებს წარმოშობს.

სტუდენტები: **იაშვილი, მოსეშვილი, ტოპჩიშვილი, თხალიძე, ჩაგუა.**

**ერევანი.** ერევნის ქართველობამ პანაშვიდი გადაიხადა ადგილობრივ მართლმადიდებელთა ტაძარში უდროოდ დადუმებულის ჩვენი პოეზიის არწივის, დიდებული ვაჟა-ფშაველას, საქართველოს მთისა და ბარის შემაერთებელის სულის მოსახსენებლად. ჩვენს ღრმა მწუხარებას ვუერთებს მშობელი ერის მწუხარებას. დეკანოზმა ფხაკაძემ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა.

წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილების თავმჯდომარე **სილავა.**

**ვაჟა-ფშაველას** დაკრძალვაზე ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წარმომადგენელად იყო რაჟდენ კანდელაკი, რომელმაც საზოგადოების მთავარ გამგეობას გადასცა 50 მანეთი, ხსენებულ განყოფილების მიერ გადადებული მგოსნის დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად.

# პრესა

„გაჯობეთ“, „დაგამარცხეთ“, „წაგაქციეთ“,—გაჰკივის „აზრი“. გვემუქრებოდნენ: ზოგიერთი გაბედული წევრები თქვენის რედაქციისა კერძო ლაპარაკში გამოტყდნენ, მარცხი მოგვივიდაო, და თუ გვაიძულებთ, დავასახელებთო. ჩვენ ვთხოვეთ მათი დასახელება და პირობა დავუდეთ რომ „აზრი“ ჩვენს პასუხს დაბეჭდავდა. „აზრმა“, როგორც მოსალოდნელი იყო, [illegible] ჩვენი პირობის შესრულება და დაიწყო თავის გამასხარება: მუშების საპროტესტო წერილების ბეჭდვა. თან აცხადებს: რედაქციას „აუარებელი საპროტესტო წერილები მოსდისო“. „აზრის“ ამავე ნომერში წავიკითხეთ წერილი ვინმე „იკა“-სი; გაგვახსენდა მ. ზ—ლი და დიაცი, რომელმაც ქუდი მოიხადა და დაიყვირა: „არ გაბედო, ორნი ვართო“! მხოლოდ სიცილითა და სიბრალულით შეიძლება წაკითხვა ამ ორ ავტორის წერილებისა. ზ—ლის ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს, ახლა მოისმინოს ზოგიერთი ამონაყვირი „იკა“-სი.

ქართველმა დეპუტატებმა მთელი რუსეთის და ევროპის ყურადღება მიიპყრეს.

გააფთრებული სჭექდა ისიდორე რამიშვილი და ხალხის რისხვას და ნაღველს ანთხევდა. მთელი რუსეთი და ევროპა გაოცა მისმა გულწრფელმა და განრისხებულმა სიტყვებმა; მთელი ქვეყანა მისჩერებოდა ქართველ დეპუტატს.

„საქართველოელნი“ სდუმდენ

ისიდორემ ადგილი დაუთმო ირაკლი წერეთელს, კაკის.

მისმა დარბაისულმა, სამართებელივით მჭრელმა ლოღიკამ დაკვარჩხა თვით სტოლიპინი და მოხიბლა თვით მისი მოპირდაპირეებიც.

მთელი კაცობრიობა სულ-განაბული უცქეროდა და უსმენდა „საუკეთესო ორატორს“.

მთელი ქვეყანა აალაპარაკა გამოჩენილმა ქართველმა დეპუტატმა.

„საქართველოელნი“ სდუმდენ

ავიდა ტრიბუნაზე კარლო ჩხეიძე. ავიდა და მისმა ირონიით, სარკაზმით აღსავსე სიტყვამ გააწითლა ისინიც კი, ვინც გაწითლების უნარი დაკარგა.

მთელი ქვეყანა გააოცა ამ ორატორულმა სიცილმა, მისი სიტყვა ორატორებისათვის სახელმძღვანელოებში შეაქვთ.

ქვეყანა აალაპარაკა ქართველმა დეპუტატმა

„მთელი ქვეყანა“ „აზრელების“ ანგარიშით ალბად შეიცავს იმ ასიოდე მუშას, რომელნიც პროტესტს აცხადებენ, ხოლო ლონდონი, ნიუ-იორკი და პარიზი. სადაც ჩხეიძის სიტყვას მეგაზეთეებს „ხელიდან გლეჯდენ“ უნდა ვეძებოთ ბარონის ქუჩაზე.

# ახალი ამბავი

◆ **სარწყავი წყალი.** რადგან ქალაქის წყალსადენი საკმაო წყალს არ იძლევა, ქალაქის გამგეობამ დაავალა ინჟინერ ლ. ნ. დიასამიძეს მტკვრიდან ამოიყვანოს წყალი ბაღებისა და ქუჩების მოსარწყავად. ბ-ნი დიასამიძე უკვე შეუდგა მუშაობას: ჯერ-ჯერობით მტკვრიდან ამოიყვანს წყალს, რომელიც ალექსანდრეს ბაღში იქნება აუზში მოთავსებული, ალექსანდრეს ბაღისა, სიერცით 6 დეს., გოლოვინის პროსპექტისა და მახლობელ ქუჩების მოსარწყავად. ეს მოწყობილება ჯდება 5,000 მან.

◆ **ქართულ თეატრის აღსადგენად.** 8 აპრილიდან 3 აგვისტომდე „ახალ კლუბში“ შემოვიდა ქართული თეატრის აღსადგენად 4,017 მანეთი.

◆ **კასირის დამალვა.** კასირი ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის განყოფილებისა თბილისში ტ. ლ. ლეონტიევი შაბათს, 1 აგვისტოს, ბანკში არ მოსულა სამსახურის ასასრულებლად. ორშაბათსაც, 3 აგვისტოს, არ გამოცხადებულა. ამის გამო კასა გააღეს და შიგ არ აღმოჩნდა 11,797 მან. 80 კაპ.

◆ **წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებელში** წელს მისაღები გამოცდები იწყება 17 აგვისტოს. მოწაფეებს მიიღებენ გარდა უფროსი სპეციალ კლასისა, ყველა განყოფილებაში. პირველ სპეციალი კლასში შესვლის მსურველმა უნდა იცოდეს სოფლის ორკლასიანი სკოლის კურსი. თხოვნებს მიიღებს სკოლის მზრუნველი (**მცხეთა**—წინამძღვრიანთ-კარი).

◆ **ხოლერა.** 3 და 4 აგვისტოს ხოლერიანი მოიყვანეს ქალაქის ლაზარეთში 2 და ხოლერის ნიშნებით 4 კაცი; 2 კაცი ხოლერის ნიშნებით სამხედრო ლაზარეთიდან გადმოიყვანეს- 4 აგვისტოს ქალაქის ლაზარეთში იყვნენ 42 ხოლერიანი და 12 ხოლერის ნიშნებით.

◆ **გადამდები სენი.** 4 აგვისტოს ქალაქის თავშესაფარში იყვნენ: ქუნთრუშიანი 26, ხუნაგიანი 19, ყვავილიანი 2, საოფლიანი 11 და მუცელაიანი 6 კაცი.

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**როძიანკო თავმჯდომარეობს.** შემოაქვთ საკითხი აუცილებელ ნივთთა არანორმალურ გაძვირების შესახებ:

**ხვოსტოვი** მემარჯვენეთა სახელით მხარს უჭერს შემოტანილ წინადადებას და ხაზს უსვამს ცალკე კომისიების შედგენას, რომ მით სახალხო საკითხები მხოლოდ სახელმწიფო სათათბიროს კომისიების კუნჭულებში არ დარჩეს. შემდეგ უბრუნდება საკითხის არსებითი მხარეს და განაგრძობს, გერმანელებმა თავიავთ ოცნების განსახორციელებლად ე. ი. მსოფლიო ბატონობის მოსაპოებლად მიმართეს მეზობლების თანდათანი ეკონომიურ და პოლიტიკურ დაპყრობას. რადგანაც ჩვენი სამშობლო უფრო ახლო იყო გერმანიასთან, ამისთვის თავის კალონიები რუსეთში იარაღად გამოიყენა გერმანიამ. მაშინ როდესაც რუსეთის გლეხობა იძულებული გახდა ციმბირში გადასახლებულიყო. აქ გერმანელების საკოლონიო ბანკების თანხა მატულობდა და გერმანელების მეურნეობა ჰყვაოდა. ცალკე სამრეწველო დაწესებულებანი რომელსაც გერმანელი კაპიტალისტები სუბსიდიას აძლევდნენ, თანდათან გერმანელ სინდიკატებად გარდაიქცნენ, ასეთ სიიდიკატებმა ხელში ჩაიგდეს სამეტალურგო, საელექტროტეხნიკო და ნავთის წარმოება. რუსეთის ბანკების უმრავლესობა გერმანელ კაპიტალისტების ხელში ჩავარდა.

საფრანგეთში სექვესტრი დაადეს 8000 წარმოებას, რომლებიც მოწინააღმდეგე სახელმწიფოების ქვეშევრდომებთ ეკუთვნოდა. ჩვენი ფინანსების მინისტრის კანონპროექტის აზრით კი რუსეთში ამ გვარი სექვესტრი დამღუპველი იქნება ქვეყნისთვისაო. მტრების წარმოება ჩვენში დღესაც ჰყვავის და მათი ჯაშუშები კი აფეთქებენ ამერიკა და იაპონეთში იმ ქარხნებს, სადაც ჩვენთვის იარაღი და ტყვია-წამალი მზადდებაო. რუსეთის ბანკებს, რომლებიც გერმანელების ხელში იმყოფება, გერმანეთის მთავრობისათვის ის აზრი აქვს, რომ არევ-დარევა მოახდინონ რუსეთის ფინანსიურ-ეკონომიურ ცხოვრებაში, გააძვიროს ცხოვრება და სხვა. ზოგი ბანკები ყიდულობენ და თავიანთ საწყობებში ინახავენ აუარებელს შაქარს, პურს, ხორცს, სხვა პირველ საჭირო მოთხოვნილების საგნებს, და მთავრობა რადიკალ საშუალებათა ნაცვლად პალიატივებით კმაყოფილდება. საფრანგეთში და ინგლისში სადაც პოლიციის ორგანოები უკეთესად არიან მოწყობილი, მთავრობა საჭიროთა სცნობს უცხოელების ბანკებში მოთავსებას უკეთესი იზოლაციისთვის. ჩვენში კი მათ მოქმედების ასპარეზი უფრო გაუფართოვეს ქვეშევრდომობაში მიღებით. მინისტრებიც კი შუამდგომლობდნენ გერმანთათვის; განსაკუთრებით მინისტრის თანაშემწე ჯუნკოვსკი მრავალ ათეულ გერმანთათვის შუამდგომლობდა. დაიბადა მთელი რიგი წინააღმდეგობა ადგილობრივ ხელმწიფებასა და ცენტრალ ხელმწიფებას შორის. გერმანელიმფლობელები მოითხოვდენ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა დატოვებას. შემდეგ ისინი უბრუნდებოდნენ თავიანთ დაწესებულებათ და ყოველ მხრივ აფერხებდენ ქარხნებისა და ზავოდების საწარმოო ძლიერებას. ყველა ამ მოვლენამ გამოიწვია ის სამწუხარო გარემოება, რომ ხალხმა თავს იდვა მათი გასამართლება. დატრიალდა სამარცხვინო საქმე, გამართა „პოგრომები“. რუსეთის დედა ქალაქი მოსკოვი მილეწ-მოლეწეს. ხალხში ფანტასტიური ხმები გავრცელდა, დიდი მღელვარება დადგა. დაე სათათბირომ თვით იკისროს ამ მწვავე საკითხების გამორკვევა და მაშინ დამყარდება ქვეყნისთვის საჭირო სიმშვიდე. დასასრულ ორატორი უპასუხებს სახელმწიფო საბჭოს მემარჯვენეთა ლიდერს დურნოვოს, რომელმაც სთქვა, ეხლა ბრძანების გაცემის ხანაარ, და ამბობს: მთავრობამ ჯერ უნდა გვიხსნას გერმანელთა ძალობისაგან, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია გამეფებული და ყველას შეურაცხყოფას გვაყენებს. საჭიროაო, განაგრძო ორატორმა, რომ მთავრობამ წესი რამ შეიტანოს ცხოვრების გაძვირებაში და ამ საკითხში ხალხის ინტერესი ბანკირთა წრეების ინტერესებზე უფრო მაღლა დააყენოს, საჭიროა ხალხის შეგნებაში მთავრობა ბრალდებულად არ იხატებოდეს. მხოლოდ მაშინ შეეძლება ხალხს გაჰყვეს მთავრობას.

მინისტრის თანაშემწე ჯუნკოვსკი აცხადებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიაქცია რა ყურადღება მოსკოვის მოსალოდნელ აჯანყებას, მიმართა მოსკოვის გრადონაჩალნიკს, რომ ყოველი ღონე ეხმარა ამ უმგვანო საქციელის ასაცდენად. წერილი 21 ოქტომბრის თარიღით იყო დაწერილი, სავაჭრო დუქნების პირველ დარბევის შემდეგ. ცნობა პოგრომისა, რომელიც მაისში მოხდა სამინისტრომ მესამე დღეს მიიღო, ამისთვის მოსკოვის გრადონაჩალნიკს წინადადება მიეცა გაენთავისუფლებინა თავისი ადგილი და დანიშნულ იქმნა სენატის რევიზია, რაც შეეხება მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა ქვეშევრდომების გადასახლებას, მინისტრის თანაშემწე მწუხარებას გამოსთქვამს, რომ წინა ორატორი არ გასცნობია სამინისტროში მოგროვილ მასალებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გერმანოფილობას არ დასწამებდა მინისტრის თანაშემწეს. სამინისტრო ადგილობრივ მთავრობის განკარგულებებს გერმანელ ქვეშევრდომთა გადასახლებისას როდი აქარწყლებდა, არამედ კონტროლს უწევდა ასეთ განკარგულებებს. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა გადასახლებაში ზოგიერთ მოვლენებისთვის ანგარიში გაგვეწია უპირატესობა ეძლეოდა მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა იმ ქვეშევრდომებს, რომლებიც მოუსურვებუნენ რუსის ქვეშევრდომობას, გარდა ამისა ადმინისტრაციას ანგარიში უნდა გაეწია ქალების და ბავშვების უმწეო მდგომარეობისთვის და სხვა.

# ტრაგიკული დღეები*)

V

ბერლინის მმართველ წრეებში განზრახ ერიდებოდენ რაიმე ცნობა ეწილადათ უცხოეთის დიპლომატებისათვის იმ მიწერ-მოწერიდან და მოლაპარაკებიდან, რომელიც გამართული იყო ერთის მხრივ გერმანიის გარეშე საქმეთა საიმპერიო კანცელიარიასა და მეორეს მხრივ სამთა შეთანხმების სახელმწიფოთა შორის. ამბის გასაგებად ყოველ დღე ვილჰელმშტრასეზე (ქუჩაა, სადაც გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტრო იმყოფება) დადიოდნენ, რომ იმ დიპლომატებს ამას მაინც ეუბნებოდნენ, რომ-კრიზისი გერმანია-ავსტრიის სასარგებლოდ მიმდინარეობსო, რა არის და ამ ხერხით დიპლომატების სიშუალებით მათს მთავრობებზე ზედგავლენას მოვახდენთო. 26 ივლისს მოკლე საუბარი მქონდა, პოლიტიკის დირექტორთან, ბ-ნ შტუმთან, რომელმაც სულ სამი-ოთხი სიტყვიდ დაასკვნა მთელი თავისი განმარტებანი და მოსაზრებანი: „ყველაფერი რუსეთზეა დამოკიდებულიო“. მე კიდევ ვფიქრობდი რომ ყველაფერი ავსტრიაზე იყო დამოკიდებული და იმაზედ, თუ რა სახით შეუდგებოდა იგი სერბიისადმი შეთვლილ მუქარის განხორციელებას.

მეორე დღეს მიმიღო ბ-ნმა ციმერმანმა. იმავე თემაზე ჩამომიგდო სიტყვა, ოღონდა კონფლიკტის დასაბამიდან დაიწყო.

„არც ჩვენის შთაგონებით გადუდგამს თავის ნაბიჯი ავსტრიას სერბიის მიმართ და არც ჩვენი რჩევითაო“—სთქვა ციმერმანმა. „სერბიის პასუხი დამაკმაყოფილებელი არ გამოდგა და დღეს ავსტრია თავის ჯარს ამობილიზებს. ეხლა უკან დახევა მას არ შეუძლია, თუ არ სურს რომ მონარქია შინ და გარეთ სამარცხვინოდ იქმნას დამცირებული. ეხლა ეს მისთვის პირდაპირ საარსებო საკითხია. მან უნდა ერთის მოქნევით ბოლო მოუღოს იმ მოურიდებელ პროპაგანდას, რომელიც მდ. დუნაის ველზე გაშლილ სლავთა პროვინციებს ავსტრიის წინააღმდეგ ასაჯანყებლად მოუწოდებს და მით სახელმწიფოს შინაგან დარღვევასა და დაშლას ემუქრება. ბოლოს ავსტრიამ შურიც ხომ უნდა იძიოს სერბიის წინააღმდეგ ტახტის მემკვიდრის მოკვლისათვის. ყველა ამ მიზეზის გამო სერბია უნდა მკაცრად დაისაჯოს, სამხედრო ექსპედიციის საშუალებით და ერთხელ და სამუდამოდ ჭკუა ისწავლოს. ავსტრიის და სერბის შორის ომის აცდენა ყოვლად შეუძლებელი რამაა.

„ინგლისმა თანამშრომლობა გვთხოვა თავისთან, საფრანგეთთან და იტალიასთან, რომ ბრძოლა ავსტრიასა და სერბიის საზღვრებს არ გასცილებოდა და რუსეთსა და ავსტრიას შორის კონფლიქტი არ ჩამოვარდნილიყო. ჩვენ შევუთვალეთ რომ სულით და გულით მონატრული ვიყავით ბრძოლის ფარგლის შემოზღუდვისა და აღუთქვით კიდეცა რომ პეტროგრადსა და ვენაშიც ყოველ ღონეს ვიხმარდით მშვიდობიანობის დასაცავად, თან ისიც ვაცნობეთ, რომ ავსტრიის მთავრობას ველარ ვურჩევდით ხელი აეღო სერბიის დასჯაზე. ჩვენს მოკავშირეს იარაღით დახმარება დავპირდით იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სხვა სახელმწიფო მის გარდაუწყვეტილების აღსრულებას გადაეღობებოდა. ამ დაპირებას მტკიცედ და ურყევად დავიცავთ. თუ რუსეთმა თავისი ჯარი აამობილიზა, ჩვენ ჩვენსას იმ წამსვე ავამობილიზებთ. მაშინ, უეჭველად, საერთო ომი იფეთქებს. და გარდა ცენტრალი ევროპისა ბრძოლის ალში გაეხვევა ბალკანეთის ნახევარ კუნძულიც, რადგანაც ვერც ბულგარეთი, ვერც რუმინია, ვერც საბერძნეთი და ვერც ოსმალეთი ვერ გაუძლებს ომში ჩარევის სურვილსო.

გუშინ ვუთხარი ბატონ ბოგიჩევიჩსო (ბოგიჩევიჩი სერბიის რწმუნებული იყო. ბალკანეთის ომის დროს მას დიდათ აფასებდენ ბერლინში),—განაგრძო ბ-მა ციმერმანმა—რომ ერთად ერთი გულითადი რჩევა, რომელიც შემიძლია თქვენს ქვეყანას მივსცე, ისაა მეთქი რომ სერბიამ მხოლოდ ფორმალური წინააღმდეგობა გაუწიოს ავსტრიის ჯარს და უჩქარის ზავის ჩამოგდებას ყველა იმ პირობის მიღებით, რომელსაც ავსტრია წარმოადგენს. ისიც დავსძინე, რომ თუ საერთო ომი მოხდებოდა და სამთა კავშირს დარჩებოდა გამარჯვება, მაშინ სერბიის ქვეყნება, როგორც ერისა, წარიხოცებოდა ამ ქვეყნიდან, რომ სერბია ევროპის რუქიდან ამოიშლებოდა, მაგრამ იმედი მაქვსო, განაგრძო ბ-ნმა ციმერმანმა, რომ ამგვარი სისხლის ღვრა არ მოხდება და რომ რუსეთს დავითანხმებთ საქმეში არ ჩაერიოს და არ გამოექომაგოს სერბიას, რომლის მთლიანობას ავსტრია ხელს არ ახლებს, რაკი ერთხელ თავის მოთხოვნებებზე დამაკმაყოფილებელ პასუხს მიიღებსო“.

ბატონ ციმერმანს შევნიშნე, რომ იმ ჩემი კოლეგების სიტყვით, რომელთაც წაეკითხნათ სერბიის მთავრობის პასუხი, სერბია ყაბულს ყოფილა დაეკმაყოფილებინა ავსტრიის ყველა მოთხოვნა. მხოლოდ ზოგ რამეში მცირეოდენი შეზომიერება შეუტანია. ციმერმანმა მიპასუხა, რომ იგი გაცნობილი არ იყო ამ პასუხთან (ეს პასუხი ორი დღის წინად ჰქონდა მიღებული ავსტრიას) და რომ ეხლა ყოველი ცდა უნაყოფო იყო და ავსტრია-უნგრეთი მაინც და მაინც მოახდენდა სამხედრო დემონსტრაციას. სერბიის მთავრობის საბუთი ბერლინის გაზეთებმა 29 ივლისს გამოაქვეყნეს. წინა დღეს ბერლინის ყველა გაზეთმა მოიყვანა ვენის დეპეშა, რომელიც აღნიშნავდა, რომ ეს გარეგანი მორჩილობა სრულიად საკმარისი არ იყო. ევროპაში არ მოელოდენ თუ პაშიჩის კაბინეტი ასეთ დათმობის გზას დაადგებოდა. ამ დათმობამ არავითარი გავლენა არ მოიღო კერძოდ ბერლინზე, სადაც გარემოებებს ავსტრიის მთავრობის თვალით სინჯავდენ.

ციმერმანის შეხედულების შეწყნარება მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლებოდა, სახელდობრ მაშინ, როდესაც ამ დებულებას მივიღებდით: არავის არ აქვს უფლება ჩაერიოს იმგვარ საქმეში, როგორიც ეხლა ავსტრიამ აღძრა სერბიის წინააღმდეგ და რომ არც არავის ეკითხებოდა დამნაშავის დაცვა და შველაო. ასეთი შეხედულობა კი სრულიად აბათილებდა იმ როლს, რომელსაც რუსეთი ისტორიულად ემსახურებოდა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე. ასეთი შეხედულება იმას ნიშნავდა, რომ ყოველი პატარა სახელმწიფო, რომელსაც, გარემოების ძალდატანებით, დიდ სახელმწიფოსთან რაიმე უთანხმოება მოუვიდოდა, წინდაწინვე უნდა გაგვეწირებინა და ზვარაკად შეგვეწირა. ბერლინის კაბინეტის ჭკუით, დიდ სახელმწიფოს ეძლეოდა სრული უფლება, როგორც მოეპრიანებოდა, ისე მოეპყრობოდა თავის სუსტ მოპირდაპირეს. ასე რომ ინგლისს არ უნდა ჰქონოდა უფლება მიშველებოდა ბელგიას, რომელსაც გერმანია შეესია, და რუსეთს—მიშველებოდა თვის მოძმე სერბიას, რომელსაც ავსტრია განადგურებას უქადდა.

გერმანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში ასე ფიქრობდენ, რუსეთი დაკმაყოფილდებაო ავსტრიის აღთქმით რომ სერბიის ტერიტორიის მთლიანობას დაიცავდა და არც მის მომავალ დამოუკიდებელ არსებობას შეახებდა ხელს. აბა რა ფასი ექნებოდა ასეთ აღთქმას, თუ კი მთელ ქვეყანას წინდაწინ ცეცხლი და მახვილი მოივლიდა. ასეთ ძვირ ჭკუის სწავლების შემდეგ, სერბია უბრალო ვასალი გახდებოდა თავის მძლავრ და საშინელ მეზობლისა. და შიშსა და ძრწოლაში უნდა ეცხოვრა მას ავსტრია-გერმანეთის მინისტრის წინაშე, რომელიც ბელგრადში პროკონსულის თანამდებობაზე იქნებოდა. ჯერ ისედაც, როგორც ეს გრაფმა მენსდორფმა უთხრა ედუარდ გრეის, ბალკანეთის ომამდე სერბია ორმაგ იმპერიის გავლენის სფეროში იმყოფებოდა. ავსტრიას სწადდა თავისს მორჩილ ყმად გაეხადა სერბია, როგორც ეს წარსულში იყო.

საიმპერიო კანცელარიიდან გამოსულ ხმას მარტო ის მიზანი როდი ჰქონდა რომ უცხოეთის სახელმწიფონი საქმის ნამდვილ ვითარებისთვის გაეცნო, არამედ ისიც რომ გზა-კვალი აებნია თვით გერმანიის საზოგადო აზრისათვის. კრიზისის დაწყებიდან ბეტმან-ჰოლვეგი და მისი თანაშემწენი იმის ცდაში იყვნენ, რომ გერმანიის ხალხის თვალში ამ საშინელ კატასტროფის მიზეზად რუსეთი გამოეყვანათ, თუ კი ეს უბედურება მართლაც მოევლინებოდა ქვეყნიერობას. ცდილობდენ რუსეთი დაესახათ დამნაშავედ, რადგანაც იგი ისეთ საპოლიციო საქმეში ერიოდა, რომელიც მას არ შეეხებოდა და რომელსაც მიზნად ჰქონდა შინაური ანგარიშის გასწორება ავსტრია უნგრეთის და სერბიას შორის. ეს ხერხი წინდაწინ იყო მოფიქრებული, რომ თუ საჭიროება დადგება, მთელი გერმანეთის ხალხი თავის იმპერატორს უკან გაჰყოლოდა, განურჩევლად კლასისა და პარტიისა, რაღაი ერთხელ დარწმუნდებოდა, რომ რუსეთი გერმანიის წინააღმდეგ ოავდასხმის ტაქტიკას დასდგომია.

ს. ი—ა.

*) იხილე „საქართველო“ № 52.

# დეპეშები

**პარიზი,** 2 აგვ. მთელს ფრონტზე მთელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

**სოფია,** 3 აგვ. გუშინ რადოსლავოვმა მიიღო გეშოვი, ხოლო დღეს მალინოვი და განუცხადა, რომ მთავრობას არა ჰსურს ავანტიურა. თუ ბულგარეთს მოუხდება სამოქმედოდ გამოსვლა მაშინ იგი მოუხმობს ოპოზიციის ყველა წარმომადგენლებს. საზოგადო შთაბეჭდილება ისეთია, რომ სახალხო კრებას არ მოიწვევენ საგანგებო სესიაზე დასასწრებლად.

## წერილი რედაქციის მიმართ

დიდად პატივცემულო ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ დაგვისტამბოთ შემდეგი:

**სოფ. ლესის** (გურია) უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობა, უკანასკნელად კიდევ უმორჩილესად სთხოვს ყველა იმ პირს, რომელსაც დარიგებული აქვთ მოწოდებები, ფურცლები დაუბრუნონ სამკითხველოს გამგეობას. ვადა დაბრუნებისა ეძლევათ ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

დაბრუნება შეიძლება შემდეგი ადრესით: სად. ჯუმათი, დიმიტრი დავითის ძე სარჯველაძეს სამკითხველოსათვის.

ლესის უფასო წიგნთსაცავ-
სამკითხველოს **გამგეობა.**

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან . . . | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ . . | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან . . . . | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან . . . | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 56 „ | „ |
| ელაანიდან . . . . | 2 ს. | 16 წ. | სად. |
| გურჯაანიდან . . . | 3 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან . . . | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე . . | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან . . . | 3 ს. | 42 წ. | სად. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში . . . . | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . . | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან . . . | 10 „ | 24 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან . . . | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან . . . . | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . . | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ . | ō „ | 13 „ | „ |
| თბილისში, . . . . | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 2 „ | 58 „ | „ |
| გურჯაანში . . . | 10 „ | 07 „ | „ |

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან . . . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | სად. |
| № 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | სად. |
| № 10 | ბათომიდან. . | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| | ჯულფიდან. . | 6 ს. | 53 წ. | დილ, |
| | ბორჯომიდან | 7 ს. | 25 წ. | დილ |
| | „ სააგარ. | 10 ს. | 28 წ. | სად. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | სად. |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 | ბათომისკენ . . | 8 ს. | 53 წ. | სად. |
| | ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | სად. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |
| | „ სააგარ. | 8 ს. | 28 წ. | დილ. |

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეზველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხს, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

მსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.